

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯივის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoвнa“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნაქონა „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს ვარად.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი სტრიქონი
დი 25 მანთი; პირველი 50 სტრიქონი სტრიქონზე
ნების ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვა-
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გააქონებს და შეაქონ-
ებს დასაბეჭდად გამოკვეთილ წერილებს. დაუბეჭდავ წერ-
ილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

მალამ სიღნაღში

სასწავლებელი

სასწავლებელს მმართველნი: რომბი-
ტაშვილისა—ზიევსკისა, მარიამ მარ-
ჯანიშვილისა და კნ. ნინა ანდრონი-
კაშვილისა.

ფასი მოსწავლეთათვის თვეში 2 მანთი.

თბილისი, სექტემბრის 12-ს.

ტელეგრაფებმა მოგვიტანეს ფრიად
დასაფიქრებელი ამბები ბალკანის ნა-
ხევარ კუნძულებში აღმოსავლეთის
რუმელიის შესახებ. მკითხველი წაი-
კითხავდა, რასაკვირველია, გუმბირდელ-
სა და გუმბირდელს ტელეგრაფებს.
საქმე ის არის, რომ, თითქმის, ყვე-
ლასთვის მოულოდნელად, აღმოსავ-
ლეთის რუმელიის ხალხმა—ბოლგა-
რებმა ამ თვის 8, დაახლო ოსმალთ
მმართველობა რუმელიისა და გამოაც-
ხადა თავისი სურვილი დაუშოვიდნენ
ბელ ჩრდილო-ბოლგარიისთან შეერ-
თებისა. ბოლგარიის მთავარმა აღიქ-
სანდრე ბატენბერგმა საჩქაროდ შეას-
რულა რუმელიის მცხოვრებთა სურ-
ვილი, მიიღო კიდევ მართვა ამ ქვეყ-
ნისა, მახდინა განკარგულება ჯარე-
ბის შესაკრებად, დასარაზმებლად და
თვითონაც მივიდა შილიზპოლში
თავის პირველის მინისტრითურთ. ეს
ამბავი, როგორცა ესთქვით, სრუ-
ლიად მოულოდნელად მოხდა. მე-
როპის სახელმწიფოანი არავითარს გან-
ზრახულებას არ აცხადებდნენ ამ საგ-
ნის შესახებ და არც ეცალათ ამი-
სათვის. ბერმანიას თავისი საქმე
ჰქონდა მსაპნისთან ძარბონის კუნ-
ძულების შესახებ; მაშასადამე, ძნელი

დასაჯერებელია, რომ იმ. ბისმარკს
აქ რამ მონაწილეობა ჰქონდეს, მით
უმეტეს, რომ თვითვე იყო თავს-
მჯდომარედ იმ კონგრესზედ ბერლინ-
ში, რომელმაც გადასწყვიტა აღმო-
სავლეთ რუმელიის დატოვება ოს-
მალთ მფლობელობაში. არც აესტ-
რია გაერეოდა ამ საქმეში, რადგა-
ნაც აესტრია, საზოგადოდ, ბერმანიის
სურვილს ემორჩილება და მხოლოდ
იმის ბრძანებით თუ იკისრებდა იმ გვარის
პასუხ-საგებელის საქმის დაწყებას,
რომელსაც შეუძლიან აღმოსავლე-
თის საქმე კვლავ ფუნზე წამოაყენოს
და ევროპის მთავარნი სახელმწიფოანი
ერთმანერთს შეაჯახოს. რუსეთსა და
ინგლისს ჯერ კიდევ მშვიდობიანად
არ გაუთავებიათ თავიანთი დავა შუა-
აზიისში, რომელმაც ერთიც და მეო-
რეც აუარებელს ხარჯში შეიყვანა
სხვა-და-სხვა არა-სახუმარო სამხედრო
მომზადებათა გამო.

ასეთია საქმე, ფრიად ძნელი საქ-
მე, უცბად დაბადებული ბალკანის
ნახევარ კუნძულზედ. მართალია, ეს
საგანი ისე მოულოდნელი არ იყო,
როგორც მოულოდნელად თავი იჩი-
ნა, და ფრიად ბუნებრივს საქმეს წარ-
მოადგენს, მაგრამ, მაინც, ძნელი
მოსაფიქრებელი იყო, რომ სწორედ
ამ ჟამად, ამ ისედაც გაჭირებულს
დროს, როცა ასე ძრიელ ეჭირებდა
და სწყურიან მთელს მეროპას მშვი-
დობიანობა, ამავე მეროპისაგან გან-
შორებული ორი ნაწილი ბოლგა-
რიისა, ერთ ხორცისა და ერთ-სულის
ხალხით დასახლებული, ესლა მოინ-
დომებდა შეერთებას.

რუსეთის სახელმწიფოსათვის, რა-
საკვირველია, ფრიად სასიამოვნო
უნდა იყოს ყოველივე ცდა სლა-

ვიანთა ტომის ბოლგარებისა ურ-
თიერთშორის შესაერთებლად და
გასაძლიერებლად; ძლიერმა რუსეთმა
არც ფული და არც სისხლი არ და-
ზოგა მათ განსათავისუფლებლად
1877—1878 წწ., თვითონ საკუთარი
ბოლგარია რუსეთის მადლობელი
უნდა იყოს, რომ ოსმალთ ხელიდან
განთავისუფლდა და დამოუკიდებელი
სახელმწიფო წეს-წყობილება მიენიჭა.
სან-სტეფანოს პირ-შეკრულობით,
ოსმალეთი იძულებული იყო თვით
აღმოსავლეთის რუმელიაც გაენთა-
ვისუფლებინა, მაგრამ ბერლინის კონ-
გრესზე ეს თ. ბისმარკმა და მომეტე-
ბულად ოსმალეთის მომხრემ ბიკონს-
ფილდმა არ ინება. ამით ამ ორმა
სახელმწიფო კაცმა დიდი უსამართ-
ლობა ჩადინა არა თუ მარტო რუ-
სეთის სახელმწიფოს წინაშე, არამედ
თვით რუმელიის წინაშეც. როგორც
ბოლგარია, ისე რუმელია თავისი
შვილების საკუთარის სისხლით იცა-
და თავის მიწა-წყალს და დამოუკი-
დებლობას. და როცა ხალხმა რუსე-
თის შემწეობით მართლა გაინთავი-
სუფლა თავი, დაიპყრო დამოუ-
კიდებლობა, ბერლინის კონგრესმა
გადასწყვიტა, რომ მარტო ჩრდი-
ლო ბოლგარია განთავისუფლდესო,
ხოლო სამხრეთ ბოლგარიას, ანუ
აღმოსავლეთის რუმელიას მიეცეს მხო-
ლოდ თვით-მმართველობა, მაგრამ ოს-
მალთ მფლობელობაში კი დარჩესო
და სამხედრო გუბერნატორი ხონთ-
ქარმა დაუნიშნოს თავის ქრისტიან
ქვეშევრდომთაგანიო და ამ გუბერნა-
ტორმა იკონიოს ზედამხედველობა რუ-
მელიის საქმეებზეო. ბიკონსფულდის
აზრით, ეს იმიტომ იყო საჭირო, რომ
ბალკანის სიმაგრენი ოსმალეთის ხელ-

ში დარჩენილიყო და, თუ რუმელიის
მიწა-წყალი სრულიად განთავისუფლ-
და, ეს აღარ მოხერხდებოდა. მხადია,
რომ ამ გვარი არა-ნორმალური მდგო-
მარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებო-
და. მართის ხორცისა და ერთის სისხ-
ლის ხალხი შეერთებას მოინდომებ-
და.

ეს ეს არის მიღებული ტელეგრა-
მიდან სიხანს, რომ ამ ამბავს ოსმალე-
თის მთავრობა ძალიან დაუფიქრებია.
მინისტრთა საბჭო განუწყვეტლივ ბქობს
და თათბირობს მაგრამ აქამომ-
დე ვერაფერი საბოლოო გადაწყვე-
ტილება ვერ დაუსკნია. ოფიცირულ-
რი ვაზეთი «Turquie» ამბობს, რომ
ბრწყინვალე პორტა ჰეიქრობს იარა-
ლით ხელში ჩაეროოს ამ საქმეშიო.
ჩვენ გვერთა, რომ ამის ჩადენა ოს-
მალეთისათვის ძალიან ძნელია, თუ
ინგლისმა არ მისცა მხარი და ჰენრი
დრუმონდ მოლფმა ახლანდელის ამ-
ბების გამო სრულიად არ შეარყია
ოსმალეთის სიჯიუტე ინგლისთან კავ-
შირის შეკერის შესახებ. წინააღმდეგ
შემთხვევაში ოსმალეთი დიდს სა-
შიშროებაში ჩავარდება და მისი დღე-
ნი მეროპის მიწა-წყალზე არსებობისა
იქნებ უკანასკნელ წამებად გარდაიქ-
ნენ. არც აესტრიას, არც ბისმარკს
და არც რუსეთს მეტადრე, სრულიად
არ ებიტნავენათ, რომ იმათ მეზობ-
ლად ძალადობით შემოსეული აზიე-
ლი ხალხი ბრძანებლობს და ჰფლობს
ქრისტიანე სლავიანთა ტომებს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უკა-
ნასკნელთა შესახებ ატყდება დაფი-და-
რაბა, ანთება ცეცხლი აღმოსავლე-
თის საქმის უშველებელს კერაზე და
იქნებ ისე გაძლიერდეს, რომ მისი გაქ-
რობა ძნელი შეიქმნეს. საქმე ის არის,

მარიამობას

მოუთმენლად მოველოდი თხუთ-
მეტს აგვისტოს.. შეიღირეა წელიწა-
ლი არა ვყოფილიყავ მარიამობას, ამ
ჩვენი ხალხის საყვარელ ჯვარობას
და გულით მინდობა მენახა, თუ რა
ცვლილება დაეტყო ამ ხნის განმა-
ვლობაში ჩვენს ხასიათსა და ჩვეუ-
ლებას.

მითქმის მთელი კვირა ერთი აღიარ-
ქოთი იყო ჩვენს სახლში და გარშე-
მო მეზობლებისას რეცხვა, ბავშვე-
ბის ბანება, პურის და ნაზუქის ცხო-
ბა, ქათმების ჭყვილი, ბატყების ბლა-
ვილი, შეერთებული ცხენების ხიხინ-
თან და ხალხის ხმაურობასთან რა-
ღაც მღელვარებას სძრავდენ კაცის
გულში და არღვედენ სოფლის ჩვე-

ულებრივს მღუმარებას.. შეველას პი-
რი უღიმოდა, ყველას სახე კმაყოფი-
ლებას სხივით იყო მოცული.

მორმეტს, საღამოზედ ბარგის ურ-
მები, თავამდინ დატვირთულნი ხორა-
გით და ლოგინებით და გადაჩრდახე-
ბულები ჯალაბობით, მზად იქნენ.
სწენები დაკმაზულნი ქალების და კა-
ცების უნაგირებით მოუთმენლად მო-
ვლოდენ გამგზავრებას.

პატარა საუზმის შემდეგ, ღმერთი
ვახსენეთ და გაუდევით გრძელს კი
არა, მაგრამ ძალიან ცუდს გზას მის
ხეთიშობლის მონასტრისას. მზე ძალ-
ზედ გადიწვერა, როდესაც მივედით
ეკლესიის გაღაფანთან.

საყდარი მშვენიერად დასულია და
თავისის სისუფთავეთ და სიმაგრით
(ამ საერთო დანგრეულობაში) სასიამო-
ვნო შთაბეჭდილებას ახდენს ადა
მიანზე. ჩალისფერი ქვით ნაშენი ეკ-

ლესია ასე გვეგონებოდა გუშინ დაჟ-
სრულებითაო. ორ-საყენიანი სიმა-
ლით გარშემორტყმული გაღაფანი
ხელ-შეუშლელია; ერთი ქვა არსად
არის გამოვარდნილი. შზო მოფენი-
ლია მდებალი, ხავსის გვარის მწვანით
და აქა-იქ გაღაფნის კუნჭულებში თი-
თო-ოროლა დიდროვანი ხე ამშვე-
ნებს ვრცლად გადაქიმულს საყდრის
ეზოს.

პირი ნელ-ნელა შეიკრება. აქა-იქ
გამოიდგა სამოვრები განათლებულე-
ბისა და აპრიალდენ დიდრონი ცეცხ-
ლები გლენებისა

ძალები მორთვა-მოკაზმას შეუდგ-
ნენ

შეზინდა.. ამოაშუქა სავეს მთე-
რემ და გაიმართა ღმინი. ღმინი,
მაგრამ რა ღმინი! ჩვენებური, ძვე-
ლებური, გრძობით და გრაცით სავ-
სე ლეყური კი არა—ქოშკა მიშკა-

ობას თამაში. ასამდინ ყმაწვილი ქა-
ლი და კაცი (კეთილშობილების წრით-
გან) მოკლვე პიჯაკებით და უზარ-მა-
ზარის ტურნიურებით ხელ-ხელ გადა-
ბმულნი აკეთებდენ დიდს წრეს და
დამა კავალერი «თაგვ-კატობაში»
ვარჯიშობდენ. ძალი, როგორც თავ-
ვი, გარბოდა წრითგან და კაცი, რო-
გორც კატა ედევნებოდა თან და პა-
ტარა ხნის სირბილის შემდეგ «თაგ-
ვი» მთლად გაწეწილი, გაჭარხლებუ-
ლის სახით, ბევრჯელ ჩამოფხრეწი-
ლის კაბით, უფარდებოდა «კატას»
ხელში და ისიც მაგრა უყრიდა თავის
კლანჭებს «თაგვს» ნაზ გვერდებში.
შოველ კატისგან თაგვის დაჭერაზედ
გაისმოდა საშინელი ჟლიღილ-ხივილი
და უზარ-მაზარი მთების სივრცე ხმას
აძლევდა.
მეზურნეები ყურებ-ჩამოყრილნი ის-
დენ და ოხვრით მოველოდენ იმ დროს,

რომ სლოვანთა შესახებ მხოლოდ ერთი რუსეთის სახმწიფო იქცევა გულ-მართლად. მხოლოდ რუსეთს უნდა სლოვანთა ტომების ბედნიერება, თავისუფლება და დამოუკიდებელი ცხოვრება და არა ავსტრიას და ბერმანას, რომელთაც თავიანთი ფაქტრლანდის ინტერესები ნებას არ აძლევენ; რომ სხვა ვინმემაც ისუნთქოს ქვეყანაზე თავისუფლად, ნემენცების გარდა

ასეა თუ ისე, მშვიდობიანად ჩაივლის ეს საქმე, თუ სისხლის ღვრა ატყდება, განუძღვება პორტა და დთანხმდება იმაზე, რაც მოხდა, და რაზედაც თანხმა იყო სან-სტეფანოს პირ-შეკრულობის დაწერის დროს, თუ აღმოსავლეთის საქმე ამოჰყოფს თავს თავის თავ-სატყეხი სირთულითა და სიძნელითურთ, ერთია ცხადი რომ ამ გვარ მდგომარეობაში სრულიად ქვეყანა ძარღვებ-დაკიმულია, საომარი მზადება ძლიერდება, საექსკლოკურსი საშინლად იწევს ძირს (დღეს ხუთ-მანათიანი ოქრო 8 მან. და 40 ლირს, 15 კაპ. მოიმატა სამს დღეში), ვაჭრული ურთი-ერთობა მცირდება და ეკონომიური კრიზისი ძლიერდება. შველა ამისაგან, რასაკვირველია, ყველა იტანჯვის და მეტადრე მშრომელი და საწყალი ხალხი.

ღმერთმა ჰქნას, რომ ამ ვაჭრებულს მდგომარეობას დიდხანს არ გაეწიოს და ეს დიდი საქმე უსისხლოდ, ხალხთა დაუხოცველად ვათავებულიყოს მშვიდობიანის მორიგე ბითა.

მაგრამ მოვიცადოთ ცოტაც და ენახოთ, რა გამოვა რისაგან.

შინაური ქრონიკა

შუშინდელს ნომერში ჩვენ დავპირდით მკითხველებს ქალაქის თავის თან. აღმ. იზმაილოვის ფინანსთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობის შინაარსის შეტყობინებას პრიკაზის მოვალეთა შესახებ. ბი, რაში მდგომარეობდა

როდესაც ახალ-მოდის თამაში თავს მოაბეზრებდა ახალ-მოდის ქალ-ვაჭბატონებს და ისევე ამათ მოიკითხავდა ცოტა-ოდნად-და შერჩენილი მამა-პაპეული რუკული. მაგრამ „კატა-თაგუნაობა“ „გუსი და მობით“ შეიცვალა. შმაწვილი ქალი და კაცი რაღაცნაირის გატაცებით იქერდენ, ეჯახებოდენ, აწყდებოდენ ერთმანეთს.

— «მახლას, უთუოდ ესეც მოდამ მოიტანა», — უთხრა ერთმა დარბაისელმა მეზურნემ მეორეს, — «თორემ რა ქართველი ქალების წესია კაცებთან ზღლად-ბლლუდი?!»

«თავის» ლიბ-ბალახზედ ფეხი წაუტურდა, «კატა» ზედ გადაელო და მის გვერდით გაიშოლტა.

— «მა, ეს რას სჩადიან», — ტუჩის აპრუწვით უთხრა დედამთილმა რძალს და უკმაყოფილობის ნიშნად კაბა მოსწია წასასვლელად.

ეს შუამდგომლობა: ჯერ ისევ 1883 წელს ქალაქის საბჭომ აღძრა შუამდგომლობა, რომ პრიკაზის ყველა ვალი 37 წლის განმავლობაში იქმნას გადახდილი და სარგებელი ერთი შაუარი დაიდოს, ამასთანავე მოვალეთნება ჰქონდათ გადაეტანათ თავიანთი მამულები ობილისის საკრედიტო საზოგადოებაში, რომლის ხუთ-პროცენტიანი გირავნობის ფურცლები მანათი მანათად უნდა მიეღოთ. ამ შუამდგომლობის მეორე ნახევარი იქმნა მხოლოდ შეწყნარებული. მართი წლის გამოცდილებამ ცხადად გამოაჩინა, რომ ამ გზით პრიკაზის ანგარიშის გაწმენდის საქმე არ შეიძლება, რადგანაც საკრედიტო საზოგადოება ხელახლად აფასებინებს თავის დამფასებლებს პრიკაზში დაგირავებულს სახლებს და რაც ფული უნდა მიეცეს დამგირავებელს, ის არამც თუ «ნედლიმკას», ხშირად პრიკაზის თან ვალსაც ვერა ჰფარავს ხოლმე. მთელი წლის განმავლობაში პრიკაზიდან გადაიტანეს საკრედიტო საზოგადოებაში 148 მამული 871,566 მან. 61 კაპ. თავნი ვალით, მაშინ როდესაც პრიკაზისაგან გაცემულია 7,108,218 მან, ე. ი. გადატანილ იქმნა ერთი მეათედი ნაწილი დაგირავებულის მამულებისა. სხვა მამულებს რაღა ეშველებათ? ორი წლის წინად, როდესაც ნედლიმკები ნაკლები იყო, ქალაქის საბჭოსაგან წარდგენილი საშუალებაც საკმაო იყო ვალის გადახდელად (37 წლის ვალის მიცემა და 5% გამორთმევა), მაგრამ ესლა ეს საშუალებაც აღარა კმარა. ამისათვის ქალაქის თავის თან. აღმსრულებელმა იზმაილოვმა იშუამდგომლა ფინანსთა მინისტრის წინაშე, როდესაც იგი ბათუმში იმყოფებოდა, რომ ხელახლად დაფასდეს პრიკაზში ყველა დაგირავებული მამულები და გამოირკვეს თითო მათგანის ვალი, რომლის გადახდაც მამულის შემოსავლით შეიძლებოდეს. მომატებული ვალი და მოგროვილი «ნედლიმკები» ჩაირიცხოს იმავე მამულების უსარგებლო ვალად, რომელიც უნდა გადახდილი იქმნას თავნი ვალის გადახდის

ღიად, ქართველებს ჯვარობებში გვიყვარდა ლხინი, ჯვარობებში ხშირად იზადებოდა და ბევრჯერაც მწიფდებოდა კიდევ სიყვარული, მაგრამ ბლლადუნით კი არა, ერთის მხრით კეკლუცობით, სინარჩართ, მეორეს მხრით ღონის გამოჩენით, თავაზიანის ქცევით, იდილურის თაყვანის ცემით თავის არჩეულთან. ღღეს კი ყველა გაუქმებულია. ტრფიალს, თაყვანის ცემას, თავაზიან ქცევას იქ რაღა ალაგი აქვს, სადაც ყმაწვილ კაცს ყმაწვილი ქალი, როგორც კატას თავგი, ხელთ უფარდება საძიძენელად. რეალ-ზამი-ეს საქვეყნო აუადყოფობა, ჩვენშიაც მფლობელობს, როგორცა ხედავთ!

«თავე-კატუნობას» მოჰყვა თავის შესაფერი «Внизъ по матушкѣ по Волгѣ» და შემდეგ შარმანკაზე ტანცაობა.

შემდეგ. სარგებლად დაინიშნოს არა უმეტეს 5% და ეს მოგვეცემს შეძლებას, რომ 2 ან სამი პროცენტი თავნი ვალის გადახდელად ჩაირიცხოს და ამ ნაირად დაჩქარდეს პრიკაზის ანგარიშის გაწმენდა.

წარუდგინა რა ეს შუამდგომლობა, ქალაქის თავის თან. აღმსრულებელმა დასძინა, რომ უსარგებლო ვალი უნდა დარჩეს უსარგებლოდვე თავნი ვალის გადახდამდისო და შემდეგ უნდა გადახდილი იქმნას იმავე წესით, როგორც თავნი ვალი, სარგებელის მსამატებით, რადგანაც სარგებლის გამოურთმეველობა იქნებოდა მოწყალეობა, რომელიც არ დაგვიმსახურებიაო.

ამ გონიერული საშუალების დასამტკიცებლად ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელს შემდეგი მოსაზრებანი წარუდგინა:

ა. ნამდვილი ვალის გამოანგარიშება ყველა მამულის შესახებ მოგვეცემს შეძლებას 5% გადახდით დაინიშნოს უფრო მეტი % თავნი ვალის გადახდელად და ამ ნაირად დაჩქარდება ვალის გადახდა.

ბ. უსარგებლო ვალის ნაწილი შემდეგ თავნი ვალის გადახდისა, თუ რომ მთავრობა მოინდომებს პრიკაზის ანგარიშის გაწმენდას, ადვილად გადაიტანება საკრედიტო საზოგადოებაში მისი გირავნობის ფურცლების მანათის მანათად მიღებით, რადგანაც დაფასებაში ისეთი დიდი განსხვავება აღარ იქნება, როგორც ეხლა არის.

გ. ხაზინა დაუბრუნებს ფულს, გაცემულს ქალაქის მამულზედ

დ. პრიკაზის ანგარიშის გაწმენდა 15 წელიწადში შესრულდება, მაშინ როდესაც ეხლა 26 წელიწადია საქირო, თუ რომ მხედველობაში მივიღებთ უკანასკნელად გაცემულს ვალებს.

ე. მამულები ეხლანდელი პატრონების ხელში დარჩება და ამით ასცილდებათ თავიდან მეტის-მეტი ზარალი.

პეტერბურგიდან გვწერენ: «ს. ნეტარსკია» «ქვემო-სადაც, ვგონებ, შეიტყუოთ, რომ უკეთესი ანგარის და პირ-

ბულმა მეტი ველარ მოითმინა. სეველა ყელში გამეჩხირა და გამოველ გალაენს გარე. აქ გლეხ კაცობა, დიდროვან ხეების ქვეშ, ცეცხლების პირად, შეექცეოდა დინჯად, თავისებურად, დალაგებით ვანშამს. აქა-იქ მოისმოდა «მეჭურღლის» წკრიალი, ერთ ორ ალაგას დაირის გრიალი.

მაგრამ ყველაზე მეტად ჩემი გული მიიზიდა ერთმა დიდმა წრემ, საიდგანაც მშვენიერი «ცანგალის» ხმა მოისმოდა. ტალიკ-ტალიკი, ლომივით ბიჭები, ჩოხის კალთებ წამოკეცილნი უჩაღად უვლიდნენ ლეკურს «ცანგალა» თან-და-თან მალღლებოდა, მახვილი სიტყვები ხალხური ლექსებისა უფრო მკაფიოდ მოისმოდა, თამაში უფრო და უფრო ხურდებოდა. მე ნელ-ნელა გავერთე, გულმა ფანტქალი მიწყო, სეველა გულს გადამეყარა და შეუნიშნავად წრეს შიგნით შე-

ველა დაწვებითი წიგნის შედგენა მკერულს ქნაზე რუსული შრ ფტანს მრუტდენა ბ. საგარეოსათვის, რამდენადც ცხადი ცით თვით, ბ. პროფესორი საგარეული ძალიან სუსტი მცოდნეა მეგრულის ენისა, არა თუ იმის თეორიისა, არამედ პრაქტიკისაც. ისიც ნამდვილად ვიცით რომ თავის ეტიუდების შესადგენად და იქ ჩართულ მეგრულ ზღაპრების ზოგიერთ მისთვის გაუგებარ სიტყვების ასახსნელად ბ-ნი საგარეული ძლიერ ბევრს ეკითხებოდა ერთ კარგად მცოდნე პირს როგორც მეგრულისას, აგრეთვე ქართულისასაც ძარგი იქნება რომ, თუ კი ბ. საგარეული მისგანაკე აღსრულ კიოსკას მოისურვებს პრაქტიკული დაბოლოებაც მისცეს, ჯერ თავის მასწავლებელს დაეითხოს და მეგრე ისე უდასწას მეგრულ ახალ-გაზღობას თავის «ქიანა-საშაყა შრომა»...

სოფელ შაშინიდან (ძახეთ-შია) გვწერენ: სოფ. შაშინი და ძალაური განისაზღვრებიან ლეღეთი. სადაც წვიმების დროს მოვარდება ხოლმე პატარა ხევი. ამ ლეღეშივე არის ცივი წყაროები, საიდანაც ხევი მოდ მოხსენებული ორი სოფელი ეზიდება წყალს. ამ ლეღეზე გადის ძლიერ საძაგელი საფოსტო გზა. ისეთი დაღმართ-აღმართებია, რომ სწორედ საცოდავია, როგორც ხალხი, გვრეთვე საქონელიც ამ გზაზე მოსიარულე, ნამეტნავად დატვირთული ურმები და ფურგუნები. რამდენჯერ გადავარდნილან ამ ლეღეში. ღიღა ზარალი აქეთ კახელებს ამ გზაზე, მაგრამ რას იზამენ. სახმწიფო გზაა და თუ არ უბრძანებენ თავის თავად ვერ გააკეთებენ. ამ გზის გაკეთება ძლიერ ადვილია, თუ კი მოინდომეს».

ამ თვის გასულს ბორის საქალბო პრაგინაზიის სასარგებლოდ გამართული იქნება, ლოტორეია. ბორის საქალბო სასწავლებელი ერთად-ერთი საქალბო სკოლაა მთელს ბორის მაზრაში და პედაგოგიურადაც არის მოწყობილი, მაგრამ ამ წელს საშუალება ცოტა ნაკლებად აქვს სკოლას, რადგან თავად-აზნაურთ

ველ... წრემ განზე გაიწია და მე შიგ ეხტოდი. ღიღხანს ვთამაშობდი გატაცებით და მინდოდა, რომ კასი ყველანი იმ—კითხაშო-ილთა გამოჯობრებული სუყველანი ერთად, ჩემთან ათამაშებულიყვნენ და ჩვენს ბედნიერებას ბოლო არა ჰქონოდა...

— მახშიმი მზად განლაგო, კალთა დამწია ჩემმა მოსამსახურემ და ცოტას ხნით აღფრთოვანებული ჩემი ოცნება დაიფუქა, როგორც საპნის ქაფი შეებრვით.

ბალავანში შარმანკა ვალსს ვაპკიოდა და ქართველი თავადიშვილები მის ხმაზედ გაცხარებულები დაპროწიალობდენ.

შეგიძლიათ უფრო მეტი იხილოთ... მკა... ლი.

ბანკმა მოუსპო ყოველწლივი შემწეობა. შოკლად სასურველია, რომ ლოტარეიამ კარგად ჩაიაროს და ბლომად დარჩეს შემოსავალი. ამისათვის საჭიროა, რომ ყველამ, ვისაც ან რამ ნიკეთს, ან საგნის შეწირვა შეუძლიან, არ დაიშუროს თავისი წვლილი და გაუგზავნოს ლოტარეის მოთავეს კნ. ა. ამილახვრისას. შოკლადე შეწირული ნივთი და საგანი მაღლობით იქნება მიღებული.

შემო ხვედურეთიდან სწერენ «ნოვოე მობაზრენის»: ადგილობრივი თავადის სიციშილის კაცს და ერთს ამავე სოფლისავე ქალს ერთი ერთმანეთი შეუყვარდათ. მს ამავე ქალის დედამ და ნათესავეებმა გაიგეს. ღელა წინად ამბობდა ხოლმე, რომ თავის ლამაზ ქალს ან სამღვდელს და ან ჩინოვნიკს მიათხოვებს. ამისათვის მას ძალიან სწყენოდა, რომ მისმა ქალმა უბრალო კაცი შეიყვარა და ყოველთვის ეუბნებოდა თავი დაენებებინა. ძალი დედის სიტყვას ყურს არ უგდებდა და ჩუმ-ჩუმად ხედავდა ხოლმე თავის გულის სატრფოს. მართხელ როდესაც ქალის სატრფო კაცი, გვარად როინაშვილი, კალოზედ მუშაობდა, ახლად ამორჩეული მამასახლისი ზებედაშვილი, რომელიც ქალის ნათესავი იყო, მიება რა უკანდამ როინაშვილს და ისეთ დაპკრა კეტი თავში, რომ იქვე წააქცია. ამის გამო როინაშვილი ჭკუაზედ შესცდა და ერთი თვალითაც დაბრმავდა.

შორის მაზრიდან სწერენ გაზეთ «ასპის», რომ თავადთა შალიკოვების მამულების ახლო დაწყობილი შაქრის ქარხნის შენება მალე დასრულდება და მოქმედებას დაიწყებს. მს ქარხანა ინჟინერი მრლიხის ზედამხედველობით შენდება. ქარხნის პატრონებად პეტერბურგისა და სივეის ვაჭრები არიან, რომალთა მომეტებულს ნაწილს რუსეთშიაც აქვთ შაქრის ქარხნები დამართული. შორის მაზრაში ქარხნის შენობის დაწყებადის კამპანია ლენკორაის მაზრაშიაც დათესა ქარხალი, მაგრამ როდესაც ეს ქარხალი შედაქვს შორის მაზრაში მოყვანილს ქარხალს, ეს უკანასკნელი ბევრით უკეთესი გამოდგა პირველზედ.

დროებისა კონსტანტინოპოლი სოფ. ჩხარის (შორ. მ. მ. ს.) ენკისისაგის 8-ს. სოფელი ჩხერი მდებარეობს რკინის გზის სტანციის ბელაგორის მახლობლად. ბუნებას ბევრის მხრით დაუსაჩუქრებია ეს სოფელი. აქ ღმება მშვენიერი ღვინო, გამოსჩქევენ კამკამი წყაროები და ჰედაც საუცხოვოა. სოფლის მდებარეობა მთაგორიანია და ამიტომ ზაფხული გრილი იცის; ზამთრის სუსხიც არ მოგვიჭერს ხოლმე ძალიან. სამასამდე კომლი მოსახლეა ჩხერში; ამ რიცხვში ოთხმოცამდე აზნაურნი ძი — ბი არიან

და დანარჩენი მათი ნაყმევი გლეხები, რომელთაც დიდი თანხმობა და სიყვარული აქვთ ერთმანეთ შორის. ბანხეთქილებას, შურსა და დედას, რომელიც ხშირად ხდება ხოლმე აზნაურთა და გლეხების შორის აქ ძვირად გაიგონებთ. ამ სოფელში შეხედვით ისტორიულ ნაშთებსაც; მაგალითებრ ამ სოფლის «მერის ძრის წმინდის» (იორგის) ეკლესიაში გახლავთ ერთი ბუნებით აღმოსული ჯვარი, რომლისაც, როგორც აქაურ მცხოვრებთ ისე სხვა საზოგადოებისასაც დიდი პატივისცემა და შიში აქვთ. ძვირად თუ შეიძლება ამ ჯვარზედ დაიფიქრონ. მს ჯვარი გახლავთ სიმალლით ხუთ არწინზედ მეტი და სიმსხოთი ხუთ გოჯამდე. ამ ჯვრის ამბავი, როგორც მოგვიჩვენებს ხალხური გარდმოცემა*) შემდეგი გახლავსთ: სამას წელიწადს წინედ იმ ადგილზედ, სადაც ახლა ჯვარი და ეკლესია არის, საბალახოზედ ყოლიათ გლეხის ბავშვებს საქონელი. როდესაც ბავშვებს მოშინიათ, უთხონიათ ერთმანეთისათვის წასულიყვნენ სადილის მოსატანად, მაგრამ არც ერთი არ დათანხმებულყო. ბოლოს საქონელიც, სიციხისაგან დალილი და გამაძლარი დაწოლილიყო. მაშინ ერთს მწვეთავანს მოეგონა და ეთქვა ბავშვებისათვის: — მე ასე ვიქ და თქვენც თანახმა იყავითო; აელო ორი პატარა ჯოხი, გაეკეთებინა ჯვრის სახე და ეთქვა შემდეგი: «მერთო, მაცხოვარო, იესო ძრისტე და წმიდა ბიორგი მერისაო! შემოგხვეწნივართ ჩვენ ბავშვები, რომ თქვენი სასწაული გამოიჩინოთ და ვიღრე ჩვენ არ მოვალთ სადილის შემდეგ ამ საქონელს ნუ ააყენებთ და ვიქმნებით მუდამ თქვენი თაყვანისმცემელი». ამ სიტყვების შემდეგ დაესოთ ეს პატარა ჯვარი და თვითონ გაქცეულიყვნენ სახლისკენ სადილის საქმელად... სადილის შემდეგ ჩქარა დაბრუნებულიყვნენ, მისულიყვნენ ჯვართან და ენახათ, რომ პატარა ჯვარი ერთ არწინზედ მეტი გახდილიყო. ბოცებულის ბავშვები მისცვენოდნ საქონელს ასაყენებლად, რომელიც ისევ იმ რიგად იწვა, როგორც დაეტოვებინათ, მაგრამ ვერას გზით ვერ ააყენებინათ. ბოლოს შეშინებული ბავშვები გაქცეულიყვნენ და შეეცუობინებიათ ყველაფერი ეს მშობლებისათვის. მოსულიყვნენ მშობლებიც, ცდილიყვნენ საქონლის აყენებას, მაგრამ ვერც ამათ აეყენებინათ, ჯვარიც თურმე იზრდებოდა თან-და-თან. ბოლოს შეხვეწნიოდნ ჯვარს — გაეჭრა მის ძლიერებას, აეყენებინა საქონელი და შეპარებოდნ ეკლესიის აშენებას. ამ ედრებაზე საქონელიც ამდგარიყო. ჯვარი იზრდებოდა შესანიშნავად, მაგრამ რადგანაც შეპარებისამებრ ეკლესია უნდა აღმშენებიათ იმ ჯვარის გარეშე, ეთქვათ, იქნებ, ეს ჯვარი ცამდის ავიდესო და ჩვენ ეკლესიას როგორ-

*) ეს საინტერესო გადმოცემა მცირედნად განსხვავდება პირველისაგან, რომელიც „დროების“ ერთს წინა ნომერში დაიბეჭდა.

ლა ავაშენებთო და ამიტომ განეზრახათ ლურსმანს დაკერა თავში ამ ჯვრისათვის, იქნებ აღარ გაზდილიყო. ასულიყო ერთი დიკვანი, რომელსაც დაეკრა ლურსმანი თუ არა, გარდმოვარდნილიყო და დღესაც არ იციან — სად გაქრა მას შემდეგ ის დიკვანიო. ჯვარი აღარ გაზდილა და მასზე ეკლესიაც აღმშენებიათ და დაურქმევიათ «მერის-ძრის წმინდის ბიორგის» ეკლესია. ამ ეკლესიაზედ იციან ოცდა-სამს აპრილს დიდი დღეობა — ბიორგობა.

ამ სოფელშივე არის ერთი დიდი ნანგრევი ციხე, რომლის აშენებასაც მიაწერენ შამარ მეფეს. მს ციხე მართლაც შესანიშნავი არის თავის არხიტექტურით. ამ «ჩხერის» ციხეში დიდხანს გაძალბებულიყო რუსების წინააღმდეგ დიდი ივანე აბაშიძე. მასასრულს უნდა მოვიხსენო ერთი სამწუხარო გარემოება: მთელს ხარაგაულის საზოგადოებას, რომელსაც შეადგენს ათასამდე კომლი მცხოვრები და რომელს რიცხვშიაც შედის სოფელი ჩხერიც მხოლოდ ერთად ერთი სასოფლო სკოლა აქვთ.

ს. ჩხერელი.

უცხოეთი

◆◆ აელანის საქმეების გამო დროებითი მორიგება რუსეთთან მიუცილებელ საქიროებად სცნო ლორდ სალისბიურის სამინისტრომ. სანამ მოსამზღვრეკომისიამიჯნის საქმეს გადასწყვეტდეს, მანამ კიდევ მოხდება ინგლისში სამინისტროს ამორჩევები. ამ არჩევებისათვის გადასწყვიტა სალისბიურის კაბინეტმა რომ ხელი გაშლილი ჰქონიყო, გადასწყვიტა, რომ სხვა რამ დიდს საქმეს არ გაეყოლია თვით სალისბიური და ამის მომხრენი, რომელთაც დიდი მეცადინეობა დასჭირდებათ, რომ ეხლადელი სამინისტრო არ იქმნეს გადაყენებული. მა თუ კი ეს მოახერხებს, თუ გამარჯვება კონსერვატორებს დარჩათ, მხოლოდ მაშინ შეეძლება სალისბიურის სამინისტროს გამოსძებნოს რამ მიზეზი, რომ ეს დროებითი მორიგება, რომელიც სრულიად არ არის სალისბიურის «გუნების საქმე» მოიხსოს და რუს ინგლისის შორის კვლავ დაეიდარაბა ჩამოვარდეს. მხოლოდ ამას თუ მიეწერება ის ენერგიული სამხედრო მზადება, რასაც თავს არ ანებებს დღესაც ინგლისი. ინგლისის აფიცრები ამაგრებენ ჰერათს და ინდოეთისა და აელანის სამზღვრების მთის გასაღებს; ბრიტანიის ჯარი დღე-ღამეზედ მიიწევს პანდაარისა და შიბუშისაკენ; აქა-იქ ბელუჯისთანში სდგანან ინგლისის მეციხოვნე ჯარები.

◆◆ მართბ მოკლე ამბავი გამოდგა საფრანგეთისა და ჩინეთის შორის მორიგება აი, რას ვკითხულობთ ერთს ფრანგულს გაზეთში: «როგორცა სხანს ჩინეთი კვლავ აპირებს ჩვენთან ბრძოლას. დიდ რიცხვინამა ჯარმა

ჩინელ გენ. პაოს სარდლობით გაანადგურა ერთი საქრისტიანო სწავლებლის ჯარი ანამის ჯართან. ერთად ჩვენი ჯარს უპირებს შებმას. მს ჩინელი გენ. პაო ის არის, რომელიც წინამდემდე იყო ჩვენთან მორიგებისა და სოხოვდა ჩინელთ იმპერატორისა ომი განეგობო საფრანგეთთან.

საფრანგეთის გენ. ტურსის მართლაც იმდენად გაუვიდა თავი, რომ ადელი მოსალოდნელი იყო ხელახალი შეტაკება საფრანგეთისა და ჩინეთის. შორის მს გენერალი თავისუფლად სცვლის ერთ მეფეს ანამისას და მეორეს ამეფებს. საფრანგეთს დაუძინებო მტრებმა ანამელებმა ეხლა იზოვნეს მოკავშირე, ჩინელი გენ. პაო 30,000 ჯარით და, რასაკვირველია, არ დაიყოვნებენ — ომი გამოუცხადონ საფრანგეთს.

ბელგრადა

„ჩრდილოეთის სააკენტისი“ სექტემბრის 10-ს.

პატიმარბი. დაიბეჭდა შეათხევაზედ სამხედროს სამართლის წესდებისა ომიანობის დროს სამართლის წარმოების შესახებ.

გამოცხადებულ იქმნა სახემწიფო რჩევის გარდაწვევტილება საქართველოს საექსარხოსოს ეპარქიების ახლანდის საწილების შესახებ, სახედობრ, საქართველოს ეპარქია შესდგება თბილისის, ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებისაგან და ეარსის, დაღესტნის და იმერ-ვასპის ოლქებისაგან, განაგებს საქართველოს ეპარხოსი ერთის ვიკარითურთ; იმერეთის ეპარქია შესდგება ქუთაისის, და შორაპნის მარზათაგან და აგრეთვე რაჭისაგან, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი იმერეთისა. ვლადიკავკასიის ეპარქიის გარდა დაწესდება ორი ახალი ეპარქია და თითო თითო ეპისკოპოსი განაგებს:

- ა) გურია-სამეგრელოსის გურიაის ეპარქიის და სამეგრელოს ვიკარობის მაგარ შემდეგ მარზათაგან: ლეჩხუმი, სენაკის მარზა, ზუგდიდისა და ოსურგეთისა და ამის გარდა ბათუმისა და ართვინის ოლქისაგან და ბ) სოხუმი-სა და აფხაზეთის ეპარქიის მაგარ, სოხუმისა და შავი-ზღვის-ხაზარა ოლქის ნაწილისაგან შემდეგის ქალაქბათურთ: ნოვოარხისისკი და ანანა და სოფლებითურთ: გელაშინისკი, აკლუხაიკოვსკი, ჯუბსკა, გულანსკაი და ადლები: შემდეგ დახოვსკი, სოჩი და გესელაი, რომელნიც ვიკარისის ეპარქიას ეკუთვნის.

კონსტანტინოპოლი. მინისტროს რჩევა თათბირობს თითქმის გასუწვევტილად, მაგრამ გერაგითარი საზოგადო გარდაწვევტილება ვერ დასკვნა. ოფიციალური გაზეთი „Turquie“ ამბობს, რომ შორცა ანაბლით ზეღში ჩაერევა საქმეშია.

ბელგრადა. ჯარ იკრებება და ირავება; სკუბშინის მოსწოდება ოქტომბრის 1-დისათვის, კრებათა და

ბეჭდვის განხორციელების მოქმედება დროებით შეწყვეტულ იქნა. შაშვანს, რომ სხვადასხვა სახის ან მისთვის უკმაყოფილოა მიერ.

სოფია. გუშინ დილაით მთავარი აღმასწავლებელი მივიდა ფილანთოპოლში და აღტაცებით იქმნა მიღებული მცხოვრებთაგან.

სოფია. საერთო კრება გადაიდო სექტემბრის 12-მდე.

მინა. აქ-ურ მცოდნე პირთა წრენი ამტკიცებენ, რომ მთავარი აღმასწავლებლის შემდეგ ბოლგარისთან, არ ახერხებს უარ-წყობას ვასაღურთ ურთიერთობა ბოლგარის სასწავლო დასახელების მიმართ და სასწავლო დასახელების შიშის დაბრუნებას ისეთი ზომების, რომელთაც წინააღმდეგობას ხასიათი ქმნა-დეთ მსმელთა შესახებ.

დღეს განხილეს აგსტრის მარტინ-ტა.

ბირჟა

შეტყობა სექტემბრის 10. 100 მანათის კურსი სამის თვით ღონდონზე — 23 23 23 1/4 23 1/8 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — 201 201 1/4 201 100 მან. კურსი სამის თვით პარიზე — 249 249 1/2 249 პოლიმპერიანობები — 8 მ. 40 კ. გაუ. ტამოუნის კუპონები — 8 მ. 40 კ. გაუ. ვენცილის მანათი — ბირჟის დისკონტი — 5 1/2 და 6 1/4 5% ბილეთები სახემ-წილო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — 99 მ. გაუ. მეორე გამოცემისა — 98 1/2 მ. გაუ. მესამე გამოცემისა — 98 3/4 მ. გაუ. მეოთხე გამოც. — 98 1/4 მ. გაუ. მეხუთე გამოც. — 98 1/2 მ. გაუ. 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — 96 მ. 37 კ. გაუ. მეორე გამოც. — 96 მ. 62 კ. გაუ. მესამე გამოც. — 96 მ. 62 კ. გაუ. 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — 219 1/2 მ. გაუ. 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა — 207 მ. გაუ. ოქროს რენტი — 174 მ. გაუ. თბილისის საადგილო-მამულო ბანკის გირაუნობ. ფურცლები — 27 წ. 89 1/2 მ. გაუ. ქუთაისის საადგილო-მამულო ბანკის გირ. ფურც. 18 წ. 92 მ. გაუ. 43 წ. 90 მ. გაუ.

ცნობანი

საავადმყოფოს ღირამტორი ბ-ნი მარშიშვილი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბ. ექიმთა და ბებიათა.

ამიბები:

არშთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

ქორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიძე-ფარსადავოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბავიბები:

ფილჩაქოვისა, სამშაბათობით.

ბაზინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტამბოლისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.
ლომონისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იქმნება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ენკენისთვიდამ 1 ღონობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი ჰურა რუკის სიგრძისა — — 1 გ. 5 კ. ჰურის ფეხისა: შარკლის ხარისხისა — — 1 გ. 2 1/2 მ. მუარისა — — 1 გ. 2 მ.

იმავე ფეხილისა თორნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის — 1 გ. 4 1/2 მ. მუარისა — — 1 გ. 3 მ. მესამისა — — 1 გ. 2 1/2 მ.

ჯვარის-მამის ჰურა:

პირველი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2 მ. მუარის ხარისხისა — 1 გ. 3 1/2 მ. მესამისა — — 1 გ. 3 მ.

ძროხის ხორცი:

პირველი ხარისხისა — 1 გ. 6 მ. მუარისა — — 1 გ. 5 მ. სუკია — — 1 გ. 13 მ. ცხვრის ხორცი — 1 გ. 7 მ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხისა — 1 გ. მუარისა — — 1 — გ.

ჩაინის ბზა

ფოსტის მატარებელი მიდის თბილისიდან ბათუმისაკენ 8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდან თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით.

თბილისიდან სურამისაკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდან თბილისში შემოდის 8 საათზე 24 წამ. დილით

განცხადებანი

ბრ. ჩარკიანის მალაზიაში.

ისეილება ლექსნი

თქმულნი

ბესარიან (ბესიკი) გაბაშვილისაგან ფასა 30 კ. (2—1)

სამასწავლებლო მთავრობის

ნება დასავით განხილვა

1 კლ. სასწავლებელი

პანსიონით

შმაწვილების მოსამზადებლად გემ ნაზიაში, რეალურს და სხვა სასწავლებლებში შესასვლელად. ქუჩა მლი-საბედის ქუჩა სახლის № 99. (5—5)

კომერციული კურსები

ორივე სქესის პირთათვის.

წელიწადი ჰეოსხე

კურსებს საგნად აქვთ მისცენ სპეციალური კომერციული განათლება ორივე სქესის პირთ და ასწავლონ პრაქტიკული ანგარიში.

1885—86 წელს ასწავლიან შემდეგს საგნებს: 1) კომერციული ეკონომია, 2) კომერციული არითმეტიკა, 3) ბუქსალტერია (გუბნალო, ორკენი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ხოთქედ, 5) კომერციული მიწერ-მოწერა, 6) საკაჭრა და სათამაშო წესდებანი, 7) სუფთად და სხეჩაროდ წერა, მსურველთათვის ფრანკოზული ენა.

სწავლა დაიწყება სექტემბრის 15-დამ, ახალნი მოწაფენი მიიღებან აგვისტოს 25-დამ ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდის, კურსების სადგურში, რომელიც იმყოფება სოლოლაკში, ლაბარატორიის ქუჩაზე ნიკანოზოვსის სახლში № 11. პროგრამები და წესდებანი უფასოდ ეძლევათ წოვიანთების ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზე და ტერ-სარკისიანის საკანცელარია ნიეთების მალაზიაში, სასახლის ქუჩაზე. ძალაქ გარეშე მცხოვრებთ ეთხოვთ მიმართონ წერილით კურსების დამარსებელს ს. მანუილიანს. (8—7)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახალად დაიბეჭდა და იხილება „დროების“ ჩამატებაში

ვასუშტი

საქართველოს ისტორია

მანმარტებული და შეესებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

ლიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შეღებულა და დასაყუდა ქაჭავ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატოვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი ანუ განხილვა ძველის ქართულის სტრუქტურისა, (ვანუშტისა); მეორე ანუ ცნობა ვანუშტზე და იმის ქარტუზე (ბროსესის); მესამე ანუ ქართველი ისტორიის წყაროები და ქართლის ცნობების ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და წეს-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთა გავლენას ჩვენს გარ-ტომზე ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა სრონიკებიდამ, გუფრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მუფთა და მთავრთა გიორგი VIII-მდე (+ 1469 წ.). აქ თვითოველს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქართა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელწოდებებით), იმ გვარად დასაყუდი, რომ იმის მთა-ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნების დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე, ნაწილი „ვანუშტის ისტორიისა“. „მეორე ნაწილს“ საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; ვანუშტის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატრობა როგორც ყველა ქართულის მანათობისათვის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამდე ისე, რომ მიიხვედნენ ყველა საუკუნობის მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი ანუ გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოსა ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსის თავის შთამომავლობით და ქართით და სრულის აღუბეჭთი გამოცემა 1887 წელს.

(25—9)